

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

სსიპ ევგენი ხარაძის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორიის „აზტ-11“-ის ტელესკოპის და გუმბათის
დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი
(მოპი)

თბილისი 2022 წელი

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

სსიპ ევგენი ხარაძის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორიის „აზტ-11“-ის ტელესკოპის და გუმბათის
დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი
(მოპი)

ორგანიზების პროექტის ავტორი



ტ. სტურუა

თბილისი 2022 წელი

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

VIII. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა

IX. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „დო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“ ; „სადემონტაჟო სქემა“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

სსიპ ევგენი ხარაძის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „აზტ-11“-ის ტელესკოპის და გუმბათის „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი(მოპი)“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

- 1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“
4. სნდაწ 3.02.01-87- „მიწის ნაგებობები. ფუძეები და საძირკვლები“
5. ტექნიკური რეგლამენტი „ მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“
6. ტექნიკური რეგლამენტი „ შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“
7. ტექნიკური რეგლამენტი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“
8. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“
9. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილება

10. ტექნიკური რეგლამენტი „ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა სამშენებლო ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება შეთანხმებული და დამტკიცებული „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

აუცილებელია განხორციელდეს სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობა.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო ობიექტს წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში მდებარე ევგენი ხარაძის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „აზტ-11“-ის ტელესკოპი და გუმბათი. ასევე დემონტირდება მათი მართვის სისტემა, შიდა ძალოვანი ელექტრომომარაგების ქსელი, ელექტროგამანაწილებელი ფარები, ელექტრო კარადები და სხვა დამხმარე მოწყობილობები და დანადგარები. ხორციელდება მათი სრული დემონტაჟი.

„აზტ-11“ მთლიანობაში მოიცავს შენობას, ტელესკოპს, გუმბათს და მათი მართვის სისტემას. „აზტ -11“-ის შენობის დემონტაჟი არ ხორციელდება.

1. ტელესკოპი „აზტ-11“:

ტელესკოპი „აზტ-11“ მოთავსებულია შენობისგან დამოუკიდებელ საძირკველზე. ტელესკოპი შესდგება: 1) მთავარი მილისგან(სიგრძე-4 მ; დიამეტრი-1,5 მ; წონა-3 ტნ). 2) ჩანგლისგან (3 x 1,5 x 4 მ; წონა-10 ტნ). 3) დახრილობის ღერძის კბილანური სისტემისგან. 4)პოლარული ღერძისგან (მასზეა წამოცმული ჩანგალი). 5) ტელესკოპის საყრდენი პირამიდისგან(წონა-5ტნ-მდე).

2. გუმბათი:

გუმბათის დიამეტრი შეადგენს 12 მ-ს, ხოლო სიმაღლე-8 მეტრს. ის შედგება ლითონის მზიდი ჩარჩო კონსტრუქციისგან, რომელიც შიგნიდან და გარედან შემოსილია ლითონის ფურცლებით, ასევე გამოყენებულია ხის მასალა.

გუმბათს აქვს სპეციალური, დაახლოებით 3 მეტრი სიგანის კარები(ლუქი) რომელიც ვერტიკალური მიმართულებით იხსნება და გადადის გუმბათის მეორე მხარეს. გუმბათი ეყრდნობა სპეციალურ ბორბლებს, რომლებიც იმართებიან გუმბათში დამონტაჟებული ძრავებით და გუმბათის მთლიან კონსტრუქციას აბრუნებენ ვერტიკალური სიმეტრიის ღერძის გარშემო 360 გრადუსით. გუმბათი ამორტიზებულია.

გუმბათის ქვედა სივრცის ნალექებისგან დასაცავად, მისი დემონტაჟის შემდეგ შენობაზე უნდა მოეწყოს დროებითი სახურავი, ხის ჩარჩო კონსტრუქციით და თუნუქის ფურცლებით.

ობსერვატორიის ტექნიკოსების მიერ წინასწარ მოიხსნება მთავარი მილიდან ძირითადი და მეორადი სარკეები (შესაბამისად წონით 800 კგ და 300 კგ) და მოთავსდება სპეციალურ კონტეინერებში. ასევე მოიხსნება და დასაწყობდება აღჭურვილობა. ძველი ტელესკოპი და

აღჭურვილობა , ასევე ყველა დემონტირებული მასალა, დანადგარი და მოწყობილობა შეინახება საწყობში , ობსერვატორიის ტერიტორიაზე. ასევე გუმბათის ნაწილების დროებითი დასაწყობება მოხდება „აზტ-11“--ის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც მოხდება მისი საბოლოო ეტაპობრივი გატანა.

III .სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სსიპ ევგენი ხარაძის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორიის „აზტ-11“-ის ტელესკოპის და გუმბათის
სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა
განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის
ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო
სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე, სადემონტაჟო
სამუშაოთა ეტაპობრიობის, შეთავსებადობის , ადგილობრივი
კლიმატური პირობების, დემონტაჟის ტექნოლოგიური ციკლისა და
ახალი ტელესკოპის მოწყობის სამუშაოთა დაწყების პერიოდის
გათვალისწინებით და შეადგენს სადემონტაჟო სამუშაოთა
დაწყებიდან 3 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის
ხანგრძლივობა- 0,2 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური
თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო
სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

ტელესკოპის და გუმბათის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები.

მეორე რიგი- ძირითადი პერიოდის სამუშაოები .

მოსამზადებელ პერიოდში ხორციელდება შემდეგი სამუშაოები (სამუშაოები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში):

- 1) სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი ღობით.
- 2) გუმბათის გარშემო შენობაზე არსებული მიწის მოაჯირის დემონტაჟი.
- 3) შენობაზე გუმბათის გარშემო დროებითი დამცავი მოაჯირის მოწყობა.
- 4) დროებითი შენობება-ნაგებობების და სასაწყობო მოედნების მოწყობა.
- 5) გუმბათის და ტელესკოპის შიგა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან.
- 6) სახიფათო ზონების აღნიშვნა გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით და სიგნალებით. გარემოს დაცვის ღონისძიებები.

ტელესკოპისა და გუმბათის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება ორ ძირითად სადემონტაჟო ეტაპად:

I ეტაპი- ტელესკოპის სადემონტაჟო სამუშაოები.

II ეტაპი - გუმბათის სადემონტაჟო სამუშაოები.

ტელესკოპის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ექვს სადემონტაჟო ქვეეტაპად:

I ქვეეტაპი-ძირითადი და მეორადი სარკეების მოხსნა და შენახვა კონტეინერებში. აღჭურვილობის მოხსნა, დემონტაჟი და შენახვა.

II ქვეეტაპი-მთავარი მილის განთავისუფლება სამაგრებისგან და დემონტაჟი.

III ქვეეტაპი-ჩანგლისა და დახრილობის ღერძის კბილანური სისტემების მოხსნა და დემონტაჟი.

IV ქვეეტაპი-პოლარული ღერძის მოხსნა და დემონტაჟი.

V ქვეეტაპი-სამირკვლიდან საყრდენი პირამიდის მოხსნა და დემონტაჟი.

VI ქვეეტაპი - 1)ტელესკოპის მართვის პულტისა და მისი დამხმარე მოწყობილობების დემონტაჟი. აწევისა და ბრუნვის დანადგარების დემონტაჟი.

2) შიდა ძალოვანი ელექტრომომარაგების ქსელის დემონტაჟი. ელექტროგამანაწილებელი ფარებისა და ელექტრო კარადების დემონტაჟი. სხვა დამხმარე მოწყობილობებისა და დანადგარების დემონტაჟი.

გუმბათის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება სამ სადემონტაჟო ქვეეტაპად:

I ქვეეტაპი- გუმბათის შემოსვის დემონტაჟი.

II ქვეეტაპი- გუმბათის ლითონის მზიდი ჩარჩოს დემონტაჟი.

III ქვეეტაპი- გუმბათის მოძრაობაში მომყვანი მექანიზმის სრული დემონტაჟი.

ტელესკოპისა და გუმბათის სრული დემონტაჟის შემდეგ ხდება გუმბათის ქვედა შენობაზე დროებითი სახურავის მოწყობა (მოხსნილი გუმბათის ადგილზე), ხის კონსტრუქციებით და ლითონის ფურცლებით.

სადემონტაჟო სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს დემონტირებული დანადგარების და აღჭურვილობის დასაწყობება ობსერვატორიის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ საწყობში.

ასევე სადემონტაჟო სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს სამშენებლო ნაგვის გატანა სადემონტაჟო მოედნიდან.

„სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დეტალურად დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების რიგობრიობა და ეტაპები.

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან სადემონტაჟო ტელესკოპისა და გუმბათის ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი, წყალი, კანალიზაცია და სხვა).

სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“.

ანაკრები ელემენტების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

ყველა ელემენტი დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

„სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში დამუშავდეს სადემონტაჟო ელემენტების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ელემენტები და დეტალები, დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს სადემონტაჟო ელემენტების დროებითი დამაგრება-დაჭერა, პირველ რიგში კი ავარიული ელემენტების.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

ტელესკოპის ელემენტების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით, ქვეეტაპებში მოცემული რიგობრიობის შესაბამისად.

მოხსნილი ძირითადი და მეორადი სარკეებისა და აღჭურვილობის ჩატანა ხდება ლიფტის მეშვეობით შენობის პირველ სართულზე, სადაც მოხდება მათი მოთავსება ტრანსპორტზე და გატანა შენახვის საწყობში.

ტელესკოპის ცალკეული სადემონტაჟო ელემენტების დემონტაჟის დაწყებამდე ხდება გუმბათის კარების(ლუქის) მთლიანი გახსნა და შემდეგ ხორციელდება ცალკეული სადემონტაჟო ელემენტების ამოტანა გახსნილი ღიობიდან (ლუქიდან), სპეციალურძარიანი საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 50 ტნ.

გუმბათის ელემენტების დემონტაჟი მიმდინარეობს ელემენტური დაშლის მეთოდით, ქვეეტაპებში მოცემული რიგობრიობის შესაბამისად, სპეციალურძარიანი საავტომობილო ამწის საშუალებით, ტვირთამწეობით 50 ტ.

დროებითი სახურავის (ხის კონსტრუქციებით და ლითონის ფურცლებით) მოწყობის სამუშაოები სრულდება სპეციალურძარიანი საავტომობილო ამწის საშუალებით, ტვირთამწეობით 50 ტნ.

სპეციალურძარიანი საავტომობილო ამწის მოძრაობის სქემა იხილეთ „სადემონტაჟო გენგეგმაზე“, ხოლო ამწის მიზმა შენობასთან (4,0 მ) იხილეთ „სადემონტაჟო სქემა“-ზე.

დემონტირებული ელემენტები გატანამდე დროებით, მცირე ხნით დასაწყობდება სადემონტაჟო მოედანზე მოწყობილ დროებით სასაწყობო მოედანზე.

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

ამწის მუშა სვლის ზოლი, შენობასთან მიბმა და დროებითი შენობა-ნაგებობების განლაგება საბოლოოდ დაზუსტდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში ან უშუალოდ ადგილზე.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება სიმაღლიდან ხორციელდება შენობის კონტურს გარეთ, დახურული ღარის მეშვეობით.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები დაზუსტდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ“- ში.

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. სპეციალურძარიანი საავტომობილო ამწე, მაქს. ტვირთამწეობით 50 ტნ -1ცალი
2. მინიბულდოზერი-1 ცალი
3. მოძრავი კომპრესორი-1ცალი
4. ავტოთვითმცლელელები-1ცალი
5. ბორტული ავტომანქანა-1 ცალი
6. ავტოდამტვირთავი - 1 ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-1 კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-1ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-1ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-1ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-30 მ²

VII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით და ასევე სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შიგა კომუნიკაციები (დენი, წყალი, კანალიზაცია და სხვა) აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

სადემონტაჟო სამუშაოთა და ასევე დროებითი სახურავის მოწყობის სამუშაოთა წარმოების დროს მომუშავეთა უსაფრთხოების მიზნით გუმბათის ქვეშა შენობის მთელ ზედა კონტურზე ეწყობა უსაფრთხოების დროებითი დამცავი მოაჯირი, სიმაღლით 1,5 მ.

ანაკრები ელემენტების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები, განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. პირველ რიგში დემონტირებულ იქნას ავარიული ელემენტები.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის მაქსიმალური საზღვარი სადემონტაჟო გუმბათის ქვედა შენობის მიწისზედა ნაწილის გარე კონტურიდან შეადგენს 5,0 მეტრს.

სახიფათო ზონა აუცილებლად უნდა მოექცეს სადემონტაჟო მოედნის დროებითი ღობის კონტურში და აღინიშნოს დღე-ღამურად კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

დროებითი ღობის მოწყობის საკითხი დეტალურად დაზუსტდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედანზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონაში.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის სამუშაოთა დაწყების წინ.

სადემონტაჟო მოედანზე მყოფი ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, დამცავი ჩაფხუტები , რესპირატორები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორების ,დამცავი სათვალეების და სხვათა გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. მოქმედი საჰაერო ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყესის საფუძველზე.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება უშუალოდ მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ, მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ქვეშ და ასევე მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. ყველა ამ ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ ამ ხაზების გამორთულ და უმოქმედო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში.

მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში), მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის დამცავ ზონაში (20 მეტრი კიდურა ხაზიდან) და მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში) სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ დამშვეები განწყესის საფუძველზე. დამშვეებ განწყესს გასცემს შესაბამისი ხაზის ან ქსელის მფლობელი ორგანიზაცია.

მაღალი ძაბვის ელ გადამცემ ხაზებთან(ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) და ასევე მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 3,0 მეტრზე ახლოს, ხოლო დაბალი ძაბვის ელ. გადამცემ ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 2,0 მეტრზე ახლოს საავტომობილო ამწის ისრის მიახლოება და ასევე ნებისმიერი სადემონტაჟო სამუშაოს წარმოება დაუშვებელია.

სადემონტაჟო სართულებიდან სამშენებლო ნაგვის ვერტიკალური ტრანსპორტირება ხდება დახურული ღარებით.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეთ სისტემური სწავლებები და ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში.

მხოლოდ ამ სწავლებების და ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმითითებელ ნიშნებს.

სამუშაოები უნდა შესრულდეს უშუალოდ უსაფრთხოების მენეჯერისა და სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანთა ყოფნა ამ სადემონტაჟო სივრცის ქვედა სიბრტყეში.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია უსაფრთხოების მენეჯერი და სამუშაოთა მწარმოებელი.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელელებით არსებულ ნაგავსაყრელზე (დაზუსტდეს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ).

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას არსებული მწვანე ნარგავები დაცული უნდა იქნას დაზიანებისგან.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან. სადემონტაჟო მოედანზე მოეწყოს სარეცხი კერხერი გამომავალი ავტომანქანების გასარეცხად და სხვა.

VIII. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება და გატანა

დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, საქართველოს მთავრობის N 421 დადგენილების და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის N 211 ბრძანების შესაბამისად.

შენობის დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობებისა და გატანის გეგმა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

1. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დროებითი დასაწყობება სადემონტაჟო მოედანზე.
2. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და ტრანსპორტირება სადემონტაჟო მოედნიდან ნაგავსაყრელზე.
3. მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანა სადემონტაჟო მოედნიდან.

მეორადი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები სადემონტაჟო მოედანზე უნდა დასაწყობდეს განცალკევებულ სასაწყობო მოედნებზე, სახეობების შესაბამისად.

სასაწყობო მოედნებზე დასაწყობებული ყველა მეორადი სამშენებლო მასალა და კონსტრუქცია ზემოდან და გვერდებიდან

უნდა დაიფაროს დამაგრებული დროებითი საფარით (ტენტით ან პოლიეთილენით), ხოლო მათ ქვემოთ მოეწყოს ხის დროებითი ფიცარნაგი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემონტაჟის შედეგად წარმოშობილიდა მოგროვილი ამტვერებადი სამშენებლო ნაგვის დროებით დაფარვას.

აკრძალულია მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება მათი დროებითი საფარით დაფარვის გარეშე.

სასაწყობო მოედნები მოეწყოს ისე, რომ გამოირიცხოს მათზე ატმოსფერული ნალექების შეღწევა (მიწის დონიდან ამაღლება, მოედნის გვერდების შემოფარგვლა და სხვა).

სადემონტაჟო მოედანზე მეორადი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების დასაწყობება უნდა მოხდეს ხანმოკლე ვადით.

აკრძალულია წვადი სამშენებლო ნარჩენების სადემონტაჟო მოედანზე დაწვა. ასევე აკრძალულია ზეთების და საპოხი მასალების არსებულ საკანალიზაციო ქსელში ჩაშვება.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ტექნიკური რეგლამენტის „ნარჩენების ტრანსპორტირების წესები“-ს თანახმად.

სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელელებზე ხორციელდება ავტოდამთვირთავით. ნაგვის დამუშავება ხდება სველი მეთოდით. ნაგვის ტრანსპორტირება ხდება ავტოთვითმცლელელებით.

ავტოთვითმცლელელებზე დატვირთული სამშენებლო ნაგავი ზემოდან უნდა დაიფაროს ტენტით ან პოლიეთილენით, რათა

გამორიცხულ იქნას მისი ტრანსპორტირებისას გარემოს დაბინძურება.

სამშენებლო ნაგავი დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაციის მიერ ტრანსპორტირდება სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო მოედნიდან მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გატანას უზრუნველყოფს დემონტაჟის შემსრულებელი ორგანიზაცია.

მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირება ხორციელდება ბორტული ავტომანქანით.

IX.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

სსიპ ევეგენი ხარაძის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის "აზტ-11"-ის ტელესკოპის და გუმბათის დემონტაჟი

სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა-3 თვე

Nრიგზე	სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი		
			თვეები		
			I	II	III
1	2	3	4	5	6
	I. მოსამზადებელი სამუშაოები:				
1	სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი ღობით.გუმბათის გარშემო არსებული მიწის მოაჯირის დემონტაჟი.დროებითი დამცავი მოაჯირის მოწყობა.	0,2	<div></div>		
2	გუმბათის და ტელესკოპის შიდა ქსელების გამოირთვა გარე ქსელებიდან.	0,2	<div></div>		
3	დროებითი შენობა-ნაგებობების და სასაწყობო მოედნების მოწყობა.	0,2	<div></div>		
4	სახიფათო ზონების აღნიშვნა ნიშნებით და სიგნალებით.გარემოს დაცვის ღონისძიებები.	0,2	<div></div>		
	II. ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოები: ა)ტელესკოპი:				
5	ძირითადი და მეორადი სარკეების მოხსნა და შენახვა კონტეინერებში.აღჭურვილობის მოხსნა და დემონტაჟი.	0.2	<div></div>		
6	მთავარი მილის განთავისუფლება სამაგრებისგან და დემონტაჟი.	0.2	<div></div>		
7	ჩანგლის და დახრილობის ღერძის კბილანური სისტემების მოხსნა და დემონტაჟი.	0.2	<div></div>		
8	პოლარული ღერძის მოხსნა და დემონტაჟი.	0.2	<div></div>		
9	საძირკვლიდან საყრდენი პირამიდის მოხსნა და დემონტაჟი.	0.2		<div></div>	
10	ტელესკოპის მართვის პულტისა და მისი დამხმარე მოწყობილობების დემონტაჟი. აწვეისა და ბრუნვის დანადგარების დემონტაჟი.შიდა მალოვანი ელექტრომომარაგებისქსელის დემონტაჟი. ელექტროგამანაწილებელი ფარებისა და ელექტრო კარადების დემონტაჟი. სხვა დამხმარე მოწყობილობებისა და დანადგარების დემონტაჟი.	0.2		<div></div>	
	ბ)გუმბათი:				
11	გუმბათის შემოსვის დემონტაჟი.	0.4		<div></div>	
12	გუმბათის ლითონის მზიდი ჩარჩოს დემონტაჟი.	0.4		<div></div>	
13	გუმბათის მოძრაობაში მომკვანე მექანიზმის სრული დემონტაჟი.	0.2			<div></div>
14	მოხსნილი გუმბათის ადგილზე დროებითი სახურავის მოწყობა.	0.8			<div></div>
15	დემონტირებული დანადგარების და აღჭურვილობის დასაწყობებზე.	2.5	<div></div>		
16	სამშენებლო ნაგვის გატანა მოედნიდან.	2.0		<div></div>	

შეადგინა :



ტ.სტურუა

სადემონტაჟო გენგებმა მ1:500

შპს-ს მფლობელები:

ჟეშელა სადამპყრობტაჟო სამჟშაო შესრულდჟს
სნდაჟ-III-4-80*-ილ დაჟსაჟრთხიეიბის მორჟმედი
ტჟჟნიეჟური რეჟლამენტიბის მორთხოვნეიბის
მკაცრი დაცვიო!

1. წინამდებარე ნახაზი "მო-1" იხილეთ განმარტებით ბარათთან და კალენდარულ გეგმასთან ერთად.
2. სადემონტაჟო გენგეგმა დამუშავებულია ობსერვატორიის "აზტ-11" ის ტელესკოპისა და გუმბათის დემონტაჟის პერიოდისათვის.
3. "აზტ-11" ის ტელესკოპისა და გუმბათის სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება სპეციალურპარიანი საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 50ტნ. ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-გატიყელიან შესრულებაში.
4. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები იხილეთ განმარტებით ბარათში.
5. ამწის მუშა სვლის სქემა მოცემულია სადემონტაჟო გენგეგმაზე, ამწის მიგმა შენობის ბარი კონტურთან შეადგენს 4.0 მეტრს.
6. ამწის მუშა სვლის ზოლი, შენობასთან მიგმა და ღრეობითი შენობა-ნაგებობების ბანდაგება საბოლოოდ დაზუსტდეს "სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტ"-ში ან უშუალოდ ადგილზე.

დასახელება:

სსიპ ევგენი ხარაძის საქართველოს
ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორიის "აზტ-11"-ის
ტელესკოპის და გუმბათის
დემონტაჟი

სსიპ



საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო მ.აღუესიძის 1.შენობა-
ნაგებობა №1. II სართული.
თბილისი
საქართველო
2600
ტ. (+995 32) 2 200 220; 2 200 233;
WWW.ESIDA.GE

ნახაზის დასახელება: სადემონტაჟო
გენგეგმა; სადემონტაჟო სქემა

ნახაზის სტატუსი :
ტექნიკური დოკუმენტაცია



სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების
პროექტი

ორგანიზების პროექტის ავტორი
ტ.სტურუა



მასშტაბი: 1:500

ფურც: დო-1



ვერღა სადემონტაჟო სამუშაო შესრულდეს
"სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების
ტექნოლოგიური ციკლის" მოთხოვნების
მპაცრო დაცვით!

დროებითი შენობა-ნაგებობების
ექსპლიკაცია

- I სამუშაოთა მწარმოებლის ოვინი
- II საყოფაცხოვრებო ღანიშნულ-ბის შინობა
- III სხსაღილო
- IV ღია სხსაწყობო მომღანი
- V ღახურული საწყობი
- VI საწყობი-ზარღული
- VII ღრობიოთი ღოკი

შენიშვნა: კონტაინერის გარეშე ვარმოვობილი
სახიფათო ზონის რადიუსი შეადგენს
5.0 მეტრს.
რადიუსი საბოლოოდ დაეშუბტა
"სამშაობა ვარმოვობის პროექტ"-ში ან ადგილზე!

საღმემორნტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად დამუშავდეს "საღმემორნტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი". აპრაკაულებია სამუშაოთა დაწყება შემთხვევითი და დამტკიცებული "საღმემორნტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტის" ბარეჟი!